



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი თბილისისა

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი თბილისისა, მნიშვნელოვანი რგოლი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში. დაარსდა 1975. ინ-ტი ემსახურებოდა დედაქალაქის სკოლის დირექტორებს, სკოლისა და სკოლამდელი აღზრდის პედაგოგებსა და ბიბლიოთეკარებს. ფინანსდებოდა თბილის მერიის მიერ და ექვემდებარებოდა ქალაქის განათლების სამმართველოს.

1997 წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი დაიწყო თბილისის მეთოდური უზრუნველყოფის ინ-ტი. ზოგადი განათლების სისტემაში ინ-ტის შემადგენლობა პირველად დაკომპლექტდა კონკურსის წესით. შეიქმნა საგნობრივი მეთოდური ლაბორატორიები, ასევე ლაბორატორიები სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის მართვის მიმართულებით; განახლდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები; ინ-ტი ჩაერთო იმუამად განათლების სისტემაში მიმდინარე არაერთ საინტერესო პროგრამაში („წერა და კითხვა კრიტიკული აზროვნებისათვის“, „აქტიური სწავლა-სწავლების მეთოდების დანერგვა საქართველოს სკოლებში“, „ადრეული ასაკის ბავშვის მოვლა და აღზრდა“, „ნაბიჯ-ნაბიჯ“, „ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დანერგვა სკოლებში“ და სხვ). ინ-ტი მჯიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის საბჭოებთან, UNISEF-თან, ორგანიზაცია „ლია საზოგადოება – საქართველოსთან“. ამ უკანასკნელის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში მან შეასრულა ორი პროექტი: „მასწავლებელ ფასილიტატორების მომზადების პროგრამა“ და „ფსიქოლოგია სკოლას“; ასევე ხორციელდებოდა „ნიჭიერ ბავშვებთან მუშაობის სადედაქალაქო პროგრამა“, რის ფარგლებშიც არაერთ ნიჭიერ მოსწავლეს დაენიშნა სტიპენდია, ჩატარდა ნორჩ დიზაინერთა და გამომგონებელთა კონკურსი, ფუნქციონირებდა საკვირაო სკოლა

სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის.

ინ-ტის მთავარი მიმართულება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება იყო. გრძელვადიან თუ მოკლევადიან კურსებს სხვადასხვა საგნობრივი თუ ზოგადი მეთოდიკის მიმართულებით წელიწადში 7 ათასზე მეტი მასწავლებელი გადიოდა.

ინ-ტის პირველი დირექტორი იყო ა. ელიზბარაშვილი, შემდეგ 20 წლის განმავლობაში ინ-ტის ხელმძღვანელობდა დ. თოდუა, ხოლო 1997-2006 - მ. ინასარიძე. ინ-ტმა ფუნქციონირება შეწყვიტა 2006.

გ. ინასარიძე
